ცნობის ფურცელი

სურათებიანი დამატება

დამატების № 185. **კვირა, 18 იანვარი 1904 წ.** **გაზეთის № 2382.**

უპატრონო

(შემდეგი*)

ერთხელ ნუცასავით სამდღლოდ გაზდილმა ბებერმა სალომე კიბის ქვეშ შეიხედა, თვალებ დაწითლებულ ნუცას დააცქერდა და ჩუმი ხმით ჰკითხა:

— გოგო, ეგ რა მოგდის, რა გემართება?

ნუცა საჩქაროდ წამოდგა, ორი თვის ხელუხლებელს ბუმბულით სავსე გოდორს ეცა, ჩამოიღო და კარებში მდგომ სალომეს ზურგი შეაქცია.

— რა გემართება, რა გატირებს?

— არა, რათა... მე... მე არა ვტირი... რათ უნდა ვიტირო... არა ვტირი.—ჩურჩულით და ხმის კანკალით მიუგო ნუცამ და ბუმბულს რჩევა დაუწყო. სალომემ უნდობლად შეხედა, ხელში ხელი წაავლო, სინათლეზე გამოიყვანა და თვალებში ჩაიცქერდა.

— აბა, რათა სტყუი, ჰა? განა ვერა ვხედავ, რომ... აი, ეხლაც სტირი, აი ცრემლები... აი, აკი სტირი, აი, აი—იმეორებდა სალომე და თავის გამხდარის თითით ნუცას ნიკაპიდან ლაპალუპით ჩამონადენ ცრემლებსა სწმენდდა.

ნუცა სწორედ იდგა, უმოძრაო და მოკუშული სახე ვვერდზე მიებრუნებინა, ცრემლებით სავსე თვალები კუთხესკენ მიეპყრო, ტუჩებს იკვნეტავდა და თან ცრემლების შემაგრებას სცდილობდა, მაგრამ ვერ ახერხებდა; თვალებში ცრემლები თავისთავად იმადებოდა, ლოყებზე მოცურავდა და წვეთ-წვეთად მიწაზე ცვიოდა. სალომე კი თავის თითს ისევ სველ ლოყაზე უსვამდა და იმეორებდა:

— აი კიდევ... აი... აი... აი...

ნუცამ თავი ველარ შეიმაგრა, მუხლები ჩაეკეცა, პირსახეზე ხელები მიიფარა და ხმა მაღლა ტირილი დაიწყო. მალე დამშვიდდა და სალომეს მოშორება ტირილის მიზეზის დამალვითღა უნდოდა.

— არაფერი... ღმერთმანი არაფერი... ისე, რა ვიცი... ღმერთმანი არაფერი... ღმერთმანი არაფერი,—ბოლოს ერ გიმეორა ნუცამ, წინ გოდორი დაიდგა და ბუმბულის რჩევა დაიწყო.

უკანასკნელ დროს ბატონი უპატრონო ნუცას თითქმის ყოველ დღე უკეტავდა კარებს და ოთახიდან ერთისა ან ორის საათის შემდეგ უშვებდა. წინად თუ ელაპარაკებოდა და რაღაცეებს ჰკითხავდა, ეხლა, პირიქით, ხმას არა სცემდა. ნუცამაც თავისი მოვალეობა ისე კარგად შეისწავლა, რომ ბატონის ოთახში შესვლისა და იქიდან გამოსვლის დრო დანამდვილებით იცოდა. ორ თვეზე მეტ გავიდა. ერთ დამეს ბატონმა ჩვეულებისამებრ კარი ჩაკეტა, კუთხეში მჯდომი ნუცა ახლო მიისვა, ჯერ რაღაცეები გამოჰკითხა და ხანმოკლე სიჩუმის შემდეგ პირდაპირ უთხრა:

— უნდა გაგათხოვო.

ნუცამ თავის ჩვეულება დაარღვია, აქამდინ დახრილი თავი მაღლა აიღო და ბატონს გაკვირვებით და შიშით შეხედა.

— დროა, უნდა გათხოვდე, თორემ დღეს-ხვალ წავალ და იქნება აღარც კი დავბრუნდე. გაიგე?

ნუცა სდუმდა.

— გაიგე მეთქი?

— დიაღ.—ჩურჩულით მიუგო უპატრონომ და ისევ თავი დახარა.

ეგვიპტელები—სურათი ვობრინგისა.

— ვინ გინდა, ვის მისთხოვდები?

— არ ვიცი...

— მაინც, ვინ მოგწონს?

— არ ვიცი...

---

*) იხ. „დამატება“ № 183.

არაბთა ბანაგში.—სურათი ეომბისა.

— მზითვად რა გინდა, მიწა თუ ფული?

— არ ვიცი...

— რა არი, სულ არ ვიცი და არ ვიცი! მახარაანთ თედოს გაჰყვები?

— დიაღ...

— მებაღე ივანიკას?

— დიაღ...

— მჭედელ პავლეს?

— დიაღ...

ბატონი წამოდგა, რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა და ნუცას ნ გაჩერდა.

— მჭედელ პავლეს მამას, აკოფას მოველაპარაკე და ეუთ-ხი, რომ მზითვად ან ათ თუმანს მივცემ მეთქი, ან აი აქ, ის ბოლოზე, ერთ დღიურ მიწას და თუ სახლებსაც აშე-ენთ, მასალასაც უფასოდ დაგითმობთ მეთქი. რა გირჩევ-თ?

— არ ვიცი...

— პავლემ მიწა და სახლის მასალა არჩია.

— დიაღ...

ამით მორიგდნენ. მეორე დღეს ბატონი და მოხუცი აკოფა, ავლეს მამა —მთელ საათს ვენახის ბოლოში დადიოდნენ და ოწას ზომავდნენ. შემდეგ შინ დაბრუნდნენ, მჭედელ პავლეს ეუძახეს, რაღაცაზე მოილაპარაკეს და ისევ დაიშალნენ. იმავ ამოს ბატონმა უთხრა ნუცას:

— პავლე თანახმაა, შეგირთავს.—და პასუხს მოუცადა.— რას იტყვი?

— არ ვიცი...

— როგორ არ იცი? პავლე გთხოულობს, გაჰყვები თუ არა?

— დიაღ...

— ვენახის ბოლოზე ერთი დღიური მიწა მიუზომე.

— დიაღ...

— ტყეც მივეცი და დაგნაშნავს თუარა, სახლის შენება-ეს ეფუდგება. მოემზადე, ხვალ სალამოს მოვა.

ნუცა შეკრთა, შეშინდა და ბატონს დაეკერდა. „ხვალ ...ხ... მოვა“

— ქორწილი ორი კვირის შემდეგ გიქნებათ.

ნუცას თითქმის აღარაფერი ესმოდა. „ორი კვირის შემ-დეგ... ქორწილი“...

— ხვალ უნდა წავიდე. ყველაფერი მოვდელს მივანდე და რაც გითხრას დაუჯერე. ერთი ხელი ტანისამოსი ხომ გაქვს? ხომ გაქვს მეთქი?

— დიაღ... მაქვს...

— დანარჩენსაც ბიჭის ხელით ქალაქიდან გამოგიგზავნი.— სიჩუმის შემდეგ კარები ჩაკეტა და სანთელი ჩააქრო.

მეორე დღეს დილით ბატონი ეტლში იჯდა და მოვდელს და აკოფას ელაპარაკებოდა. ნუცა თავის ოთახში იდგა და მოლაპარაკეთ ჯუჯრეტანიდან უყურებდა. ბატონმა არ დაიბარა, არაფერი უთხრა. ნუცა კი მთელი საათი იდგა ერთ ადგილას და ბატონის ყოველ მოძრაობას, ხელის განძრევას და ლაპარაკს გაფაციცებით თვალ—ყურს ადევნებდა. მუხლები უკანკალებდა, მთელი ტანი თრთოდა, ცახცახებდა და გაფითრებულ შუბლი-დან წამდაუწუმ ცივ ოფლს იწმენდდა. ზარავმა ეღარუნი დაიწყო, ეტლი რიხრიხით დაიძრა, მტვერში გაეხვია და ლო-ბეს რომ მიეფერა, ნუცას გულიდან მოკლე და კენესის მაგვარი ოხერი აღმოხდა. გამხდარი თითებით ფიცრებს კაწრა დაუწყო, მთელს ტანით ხტოდა, ძაგძაგებდა და უცებ კარი გამოაღო, გამოვარდა, უნდოდა ქეთით გაქცეულიყო, ბატონს დასწეოდა ყველაფერი ეთქვა, აეხსნა, შეხვეწოდა, შებრალება ეთხოვა, მაგრამ იქავე მოლაპარაკე მოვდელი და აკოფა დაინახა და შედგა. არაფერ ხედავდა. საჭაროდ ეზო გადაირბინა, ბაღში შევიდა, ვაზებ შუა ჩაწვა და ქვითინი დაიწყო. სახლიდამ და ეზო-დამ რამდენჯერმე უძახდნენ, ეძებდნენ, მაგრამ სულგანაბული უპატრონო ხმას არ აძლევდა, ბალახებში უფრო ღრმად ძერე-ბოდა, ვაზების ხშირ ფოთლებში ნადირივით იმალებოდა და, ვით ქურდი და ბორტყ მოკმეული, შიშით თრთოდა და თავის ძმებნელთა სიარულს და ფარ-ფეფს ყურებ დაკქვეტილი თვალ-ყურს ადევნებდა. ტირილით დაიღალა და იქვე მიეძინა. როცა მებაღე ივანიკამ იპოვნა და გამოაღვიძა, ზზე უკვე ჩასულიყო. ნუცა წამოხტა, ბარბაცით თავის ოთახისაკენ გასწია და იქ ტახტზე მიწვა. არც იქ მოასვენეს. სალამე შემოვიდა, თითქმის ძალით წაიყვანა თავის ოთახში, ძალათვე ჩააცვა ახალი ტანი-სამოსი, დაარიგა და სამზარეულოში შეიყვანა. დაბალ ტახტზე

მზარეული სოსიკო და ბებერი აკოფა ისხდნენ. რკინის გახუ-
რებულ ფეხთან თავჩაკიდული და ახალ ტანისამოსში გამოწყო-
�ed მეჭედელი პავლე, ნუცას მომავალი საქმრო, იჯდა. ძარღვი-

უპატრესი ცხენი ქეფანაზე.

ანი, ტლანქი და ახალის ჩოხით ლურჯად შეღებილ ხელებზე
გაშიებული და უწვერულვაშო პირსახე დეებჯინა. ვანიერი
მხარეები სანთლისკენ ჰქონდა მიქცეული. შუა ოთახში თეფრი
სუფრით გადაფარებული მაგიდა იდგა. ზედ ადეულებული სამო-
ვარი და ღვინით სავსე ბოთლები ეწყო.

— ე-ე, ძღიეს არ ეპოვეს.—ხმიარულად წამოიძახა მზარე-
ულმა და კარებში გაჩერებულს ნუცას სკამი მიუდგა.—მოდი,
დაჯექი.

პირმოპარსული, ვეფხის ტყოოსნის ზეპირად ცოდნით და
ღვინის სმით განოქმული აკოფა ზეზე წამოდგა და თავის მომა-
ვალს რძალს შოთას დამახინჯებული სიტყვებით მიეგება:

— ქალი კაცისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია. მობ-
ძანდი, გვეწვიე.

აწითლებული და მოუხეშავი „უპატრონო“ კუთხეში აი-
ტუზა და თითების კვნეტა დაიწყო. პავლე ადგილიდან არ
დაიძრა, თავი უფრო ძირს ჩაჰკიდა და პირსახის სრესას მოჰყვ.

— რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია.—ისევ
შოთას მიჰპართა აკოფამ და დაუპატა:—შე დალოკცილო, ე
კუთხეში რომ ატუზულხარ, რა საკადრისია! მოდი, დაჯე, ვილა-
პარაკოთ, ვიცან შმოთ და საქმეც გავარიგოთ.

— მო, მოდი ნუციკო, მოდი.—მიიპატიჟა მზარეულმა.

— ათასად ღვინო დაფასდა, ათი ათასად ზარდილობა...

— ი-ი, კარგით ერთი და-ა,—გაიწყვეტინა სალომემ,—
ხუთმეტი წლის გოგომ რა ზარდილობა უნდა იცოდეს.—ნუცას
ხელი წაავლო, მაგიდასთან მიიყვანა, სკამზე დასვა და წინ სან
ოელი დაუდგა.

— თუ კაცი მსმელად არ ვარგა, ცუდია ჩამომავლობა.—
დაამთავრა თავისი აზრი აკოფამ და ნუცას სინჯვა დაუწყო.

ნუცამ პირი იქით მიიბრუნა, სირცხვილით ალარ იცოდა,
რა ექნა, თითებს იტკაცუნებდა და ცრემლებს იმაგრებდა. ბო-
ლოს მაგიდას მოუსხდნენ და ვახშმობა დაიწყეს. ნუცა კი ისევ
იქ იჯდა, ხან იატაკს სინჯავდა და ხან სიბნელით მოცულ ვე-
ნახს გადასცქეროდა.

— საბრალოა სიყვარული, პავლეს შეიქმს გულმოკლუ-
ლად.—დაარღვია სიჩუმე აკოფამ, თავჩაკიდულს და მორცხვ
საქმროს გადახედა, მერე ბოთლიდან ღვინო ჩამოასხა და გან-
მარტა:

—ბოთლისა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდეს ბს.

სალომე და მზარეული გულიანად იცინოდნენ, პავლე
ძალდატანებით იღიმებოდა, ნუცა კი სდუმდა.

—რასაცა დალეგ შენია, რაც არა დაკარგულია. დალიე
იმერელო! და სავსე ჭიქა მზარეულს გადაუდგა.

— აბა, შენ რაება შეგედრები: სმაში განოქმული კაცი ხარ!

—სჯობს სიფიზოლესა ნაზარახსა, სიმთვრალე სახელოვანი.

—ი-ი, კარგი თუ ღმერთი გწამს-და! მაგდენი სმა როგორ
შეიძლება.—უსაყვედურა სალომემ.

— ზოგჯერ სმა სჯობს არა სმასა, ზოგჯერ სმითაც და-
შავდების.—პასუხი მოუტრა აკოფამ და ცოტა ხნით დავიწყე-
ბული ნუცა ხელმეორედ მოაგონდა:—ქორწინებას ვერ ვინ
შესცვლის, არ საქმნელი არ იქმნების.

პავლემ კრული ხელსახოცით ცხვირი მოიწმინდა, თავი
დალუნა და კარგა ხანს ქალამნს ისწორებდა. ნუცა წამოდგა და
კარებისკენ წავიდა, მაგრამ აკოფამ არ გაუშვა, ღვინით სავსე
ჭიქა მიაწოდა და პავლეს სადღეგრძელოს დალევა სთხოვა.

— დალიე ნუცაჯან, დალიე! ისე შეგინახოს, როგორც
მარგალიტი.

ნუცა ჯერ უარზე იდგა, სტუმრებს ზუთვრი შეაქცია. ბევ-
რი თხოვნის შემდეგ გაწითლებული მობრუნდა, თავ ჩაკიდულ
საქმროს თავი დაუკრა, ჭიქა ტუჩებზე მიიდო, მაგრამ უცებ
ხელი გაუშვა, ღვინო დადვარა, ჭიქა გატეხა და ტირილით გა-
რედ გავარდა.

ნუცა მეორე დღეს დანაშნეს. წინაღამდეგობა არ გაუ-
წევია, სმა არ ამოუღია. ბატონის ბძანებას ეხლაც ისე დე-
მორჩილა, როგორც ყოველ იმის სურვილს ემორჩილებოდა
ხოლმე. რამდენისამე დღის შემდეგ აკოფამ და პავლემ ბატო-
ნისაგან მიზომილი მიწა შემოლობეს და გზის ნაპირას სახლის
შენება დაიწყეს. ძველი სახლი, რომელიც აკოფას რჩებოდა,
უფრო ქვეით იყო. ერთის თვის შემდეგ მიწური სახლი, ძარი
და ფიცრული სამჭედლო უკვე მზად იყო. ამ ერთის თვის
განმავლობაში პავლე მხოლოდ ორჯელ ამოვიდა ნუცას სანა-
ხავად. დანიშნულებს მარტო სტოვებდნენ, მაგრამ ორივენი
შორი-შორს ისხდნენ და სდუმდნენ. პავლე ხელებს ისრესდა
და იატაკს თვალს არ აშორებდა. ნუცა თითებს იკვნეტდა
და ოთახის კუთხეს შინჯავდა. ქალაქიდან ბატონის ბრძანება
მოვიდა, ქორწილი დაიჩქარეთო. რამდენისამე დღის შემდეგ
თვალცრემლიანმა ნუცამ ეკლესიაში ჩურჩულითით პავლესთან
შეუღლების სურვილი გამოაცხადა და იმავ საღამოს სამუდა-
მოთ მჭედლის ახალ სახლში გადასახლდა.

ერთფეროვანი ცხოვრება დაიწყო. ყოველ დილით პავლე
ტაკვის წინსაფარს იკრავდა და სამჭედლოში გადიოდა.

იქიდან მიწის სახლში მოპუშავე ნუცას საღამოდის პავ-
ლეს ჩაქუჩის მედგარი რახა-რუი და საბერეულის ბრიალი ეს-
მოდა. შუადღისას პავლე მოკლე ხნით შინ შემოირბენდა,
ერთ ჯამს ლობიოს ან შვინდის შეეპანდს დასცლიდა და ისევ
სამჭედლოში მირბოდა ხოლმე. ნუცაც მალე შეეჩვია თავის
მოვალეობას. ქმარს საღილს უმზადებდა, საღამოზე საღილის

ბერლინის ზოოლოგიურ ბაღში ლომის გაწრთვნა.

დანარჩენს უთმობდა და თავისუფალ დროს წინდა-პაჭიკების ქსო-
ვაში ატარებდა. ზოგჯერ მარყო-ბომბოლოსა არჩიოდა. ...

ქათმებიც გაიჩინა. პაელემ იმდენი ფული შეიძინა, რომ შემოდგომის დამდეგს ერთი ძროხა და ორი ღორიც კი იყიდა. ერთმანეთს ი"შვიათად ელაპარაკებოდნენ. ხშირად, უქმე დღეს ან ღამე, ბუხრის წინ მთელის საათობით ისხდნენ და უსიტყვოდ ცეცხლს ჩასცქეროდნენ. ზოგჯერ ორი და სამი დღე ისე გავიდოდა, რომ ერთმანეთისთვის ერთი სიტყვაც არ ეთქვათ. ნუცა ეხლაც ყველას ერიდებოდა. მთელ სოფელში თავის მაზლების და მამამთილ-დედამთილის მეტს არავის იცნობდა, მეზობლები არა ჰყავნდა და არც თვითონ ითელებოდა ვისიმე მეზობლად. სოფლურ ქორწინებაში და კვირა-უქმობით გამართულ ცეკვა თამაშში არავითარ მონაწილეობას არ იღებდა. ყოველ დილით კოკით წყალზე მიდიოდა და სოფლის დედაკაცებსაც მხოლოდ იქ ხედავდა. თუ იმისი ჯერი არ იყო, განზე დგებოდა, ხმას არავის სცემდა და რაკი კოკას აავსებდა, უკან თითქმის სირბილით მოდიოდა ხოლმე. სოფლის ქალები მტრულად უყურებდნენ. კოკით ხელში განზე მდგომ ნუცას ხშირად შეეწი"ნავს თავის შესახებ დედაკაცების ბუტბუტი, გულგრილობა, ზიზღი და ზოგჯერ უმიზეზო სიძულვილიც კი. ზოგჯერ მასთან მამამთილი შემოიელიდა ხოლმე და თუ კარგ გუნებაზე იყო, თავის ჩვეულებრივ „რასაც დალევს“ იტყოდა, ცოტა ხნით ნუცას გაამხიარულებდა და შემდეგ სამეკლოში შევიდოდა. ნუცას შემოდგომას აკოფას რთველში უშველა, მერე თავის ხვედრი ლობიო-სიმინდი მოკრიბა, შეინახა და ზამთრის დამდეგს ისევ პაჭიკებს და წინდებს დაუბრუნდა. უკანასკნელ დროს ნუცამ დასრულება და სიმძიმე რამდენჯერმე შეიმჩნია, მაგრამ ამას ყურადღება არ მიაქცია, თუმცა ამის შემდეგ რამდენიმე დღე არაფერი გაუკეთებია, მთელის საათობით ბნელ სახლში ბუხრის წინ იჯდა და ცეცხლს ჩასცქეროდა.

ერთხელ დილით წყლის მოსატანად წავიდა. იქ უკვე რამდენიმე დედაკაცი შეგროვილიყო და ყველა თავის ჯერს უცდიდა. ნუცა ჩვეულებრივ განზე დადგა და გაჩუმებული თავის რიგს ელოდა. ცოტა ხნის შემდეგ შეამჩნია, რომ დედაკაცებმა ჯგუფი შეჰკრეს, განზე გამდგარ ნუცას გაკვირვებით შინჯავდნენ, ათვალიერებდნენ, ჩურჩულობდნენ და ერთმანეთს იმაზე უთითებდნენ. ნუცამ ზედ დაიხედა, ტანისამოსი დაითვალიერა. ცოტა ხნის შემდეგ ყველაფერს მიხვდა და შეკრთა, თვალი დაუბნელდა, თავბრუ დაეხვია, გაწითლდა და რომ არ წაქცეულიყო, ცარიელი კოკა მხარზე აიგდო და სირბილით შინისკენ გამოსწია. ფეხებს ძლივს აღგამდა, გზას არ სინჯავდა და წამ-და-უწუმ ქვებს და ორმოებს აწყდებოდა. შინ შემოვარდა, კოკა კუთხეში მიაგდო, ყველაფერი მოაგონდა და უხმოდ იქვე ჩაიკეცა. დიდხანს იჯდა გაუნძრეველად და თავის გათხოვებიდან თვეებს სთვლიდა. მხოლოდ ხუთი თვე დათვალა. იმ დღეს სადილი დაიგვიანა. პაელე რომ პურს სჭამდა, ნუცა ტახტზე იჯდა, მუხლებზე კალთი ედგა და ბუმბულს არჩევდა. საღილის შემდეგ ბუხარს მიუჯდა და საღამომდის იქ იჯდა. ეხლა მხოლოდ სასწაულს-და ელოდა და გულუბრყვილოდ სწამდა, რომ განგება შეიბრალებს მას, გაიგებს იმის მდგომარეობას და ბუნებაც თავის სასტიკს და საყოველთაო ცხრა თვეს ნუცასთვის თორმეტ ან თოთხმეტ თვედ გადააკეთებს.

მ. ადამაშვილი.

(დასასრული იქნება).



ტფილისის ბაღნელ ადმირთ-დადმირთებიან ქუჩებზე.

— შორს, შორს შე მაგდური, მომხიბლველი!

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.